**საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი**

**ეროვნული კომისიის**

**დადგენილება №31**
**2023 წლის 29 ივნისი**

**ქ. თბილისი**

**„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 168-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

**მუხლი 1**

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილების (სსმ III, 08.12.2008 №175, სარეგისტრაციო კოდი 300.280.000.16.009.012.460) $11^2$ მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

*„2. ელექტროენერგიის საჯარო მომსახურების სახით მიწოდების დროებითი ტარიფები:*

| | | | |
|---|---|---|---|
| ა) | 220/380 ვოლტი: | | |
| | 2023 წლის 1 ივლისიდან 2024 წლის 1 იანვრამდე | - | 12.442 თეთრი/კვტსთ; |
| ბ) | 3,3-6-10 კილოვოლტი: | | |
| | 2023 წლის 1 ივლისიდან 2024 წლის 1 იანვრამდე | - | 18.052 თეთრი/კვტსთ; |
| გ) | 35-110 კილოვოლტი: | | |
| | 2023 წლის 1 ივლისიდან 2024 წლის 1 იანვრამდე | - | 18.034 თეთრი/კვტსთ |

.“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 ივლისიდან.

| | |
|---|---|
| **საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე** | **დავით ნარმანია** |
| **კომისიის წევრი** | **გოჩა შონია** |
| **კომისიის წევრი** | **გიორგი ფანგანი** |
| **კომისიის წევრი** | **გიორგი ფრუიძე** |